ეჩვენებინა ჩვენთვის, რამდენად აუცილებელია ღვთის მცნებების დაცვა და მარხვის შენახვა. თავდაპირველად თვითონაც იმარხულა 40 დღე და 40 ღამე, როგორც ეს ნათქვამია ლუკას სახარების მეოთხე თავში, ეს მარხვა ჩვენთვის იყოს ერთგვარი სარკე, რომელშიც დავინახავთ მთელ ჩვენს ცხოვრებას და გავიხსენებთ იმ დაცემას, რომელიც შეემთხვა ადამს ჭამასთან დაკავშირებული მცნების დარღვევით.

ამიტომ იმ დროს, როდესაც ღმერთმა გვაღირსა და ხვალიდან ვიწყებთ მოგზაურობას დიდ და წმინდა მარხვაში, აუცილებელია, ჩვენც სიყვარულით და მოშურნეობით მივიღოთ უფლის მცნება და შეძლებისდაგვარად შევასრულოთ ის. ახლა ჩვენ ჩვენი სულების მტრის წინააღმდეგ ომს ვიწყებთ, ამიტომ პავლე მოციქულის სიტყვების მიხედვით: *მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისაი, და შეიხსენით ფერხთა თქუენთა განმზადებულებაი იგი სახარებისა მის მშვიდობისაი, ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაი, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად და ჩაფხუტი იგი ცხორებისაი დაიდგით და მახვილი იგი სულისაი, რომელ არს სიტყვაი ღმრთისაი; რამეთუ არა არს ბრძოლაი ჩუენი სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა მის ამის საწუთროისათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე.*

ამიტომ ვემზადებით რა ჩვენი სულების მტრის წინააღმდეგ სა-

him, when centuries later He, incarnated, came Himself to this world and lived among people in order to show us how important it is to observe God's commandments and to keep the fast, He observed the commandments and fasted for 40 days and 40 nights, as it is said in chapter 4 of Luke's Gospel. Let this Lent be a kind of a mirror in which we will see our lives and recall the fall that was caused by breaking the commandment associated with eating by Adam.

Therefore, at this time when God has taken mercy upon us, and tomorrow we start our journey through great and holy Lent, it is necessary to accept God's commandment with love and zeal and observe it as well as we can. Now we start a war against the enemies of our souls, as Paul the Apostle declares: stand therefore, having your loins girt about with truth and wearing the breastplate of righteousness; and your feet shod with the preparation of the gospel of peace; above all, taking the shield of faith wherewith ye shall be able to quench all the fiery darts of the wicked. And take the helmet of salvation, and the sword of the Spirit, which is the word of God [Paul to the Ephesians, 6, 14-17]. For we wrestle not against flesh and blood, but against principalities, against powers, against the rulers of the darkness of this world, against spiritual wickedness in high places" [6, 17].

are mai mare peste dânsul şi cum că nu iaste volnic a călca porunca, că în ce zi o va călca, cu moarte va muri. Drept acéia, Acela însuş făcătoriul şi poruncitoriul lui Adam, în zilele céle de apoi arătându-să pre pământ şi cu oamenli împreună vieţuind, pentru ca să ne arate noao cum că laste cu cale şi cu dreptate să ne supunem poruncii lui Dumnezeu şi cum că iaste foarte de folos să postim, întâi Elînsuş au postit 40 de zile şi 40 de nopţi, precum să véde la Luca, în 4 capete, pulnd postul acesta înaintea ochilor noştrl, ca să privim într-însa ca într-o oglindă, în toată viaţa noastră şi să ne aducem aminte de pacostea ce s-au întâmplat lui Adam din călcarea poruncli şi din mâncare.

Pentru acéia trebuiaşte dară şi noi, de vréme ce ne-au învrednicit Dumnezeu şi am ajuns ca să întrăm de mâine în călătoriia sfântului post, cu pohtă şi cu dragoste să primim porunca Stăpânului şi după putinţă să facem şi céle poruncite. Şi pentru căci avem a mérge la războl asupra vrăjmaşului sufletelor noastre, trebuie să ne gătim ca nişte ostaş vitéji ai lui Hristos, încingându-ne mijloacéle noastre cu adevărul, după cum zice fericitul Pavel şi să ne încălţăm picioarele cu gătirea Evangheliei păcii şi să ne îmbrăcăm cu zaoa dreptăţii şi să punem coiful mântuirii pre capetele noastre şi să luom pavăza credinţii în mâinile noastre, cu carele vom putea stinge toate

ლაშქროდ, თან უნდა ავიღოთ 5 რამ, როგორც ერთგვარი სულიერი მარაგი, რომელიც გამოგვადგება გაჭირვების ჟამს. ესენია: აღსარება, ლოცვა, მარხვა, მოწყალება და სიყვარული.

აღსარებისას ჩვენ ვიწმინდებით ცოდვებისგან, როდესაც ღვთის შიშით, შემუსვრილი გულით ჩვენი მოძღვრების წინაშე, როგორც უშუალოდ ღმერთთან, ვაღიარებთ ჩვენ ცოდვებს ისე, რომ ვიდანაშაულებთ და ვამხელთ საკუთარ თავს და სხვაზე არ გადაგვაქვს ბრალი. მაგრამ თუ ვიმართლებთ თავს, თითქოსდა იძულებით ან უძლურებით ჩავიდინეთ ის ქმედება, ასეთი აღსარება არაფერს გვარგებს, როგორც არ არგო ადამს მაშინ, როდესაც ღმერთი შეეცადა, მოეყვანა ის სინანულში. ნაცვლად იმისა, რომ ადამს შეეცნო თავისი შეცდომა და ეღიარებინა ცოდვა, მოინდომა ღმრთისთვის დაებრალებინა ყოველივე იმით, რომ მისმა მოცემულმა ქალმა აჭამა აკრძალული ხილი, ევამ კი გველს დაუწყო დანაშაულის გადაბრალება! ამრიგად, ჩვენი აღსარება უნდა იყოს კეთილი სასოებით და მაშინ მართლა შეგვინდობს ღმერთი; და არა სასოწარკვეთით, როგორც ეს კაენის შემთხვევაში მოხდა, როდესაც მან თქვა: „უფრო დიდია ჩემი დანაშაული, ვიდრე სასჯელი". ასევე იუდამაც, მიუხედავად იმისა, რომ აღიარა თავისი შეცდომა მღვდელმთავრების წინაშე, რომ გაყიდა უდანაშაულო სისხლი, არაფერში ერგო ეს აღსარება, რადგან სასოწარკვეთილი იყო.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ აღსარება უნდა ითქვას იმ ფიქრით, რომ აღარ შევცოდავთ. ასე მაგალითად, ფარაონმა კი აღიარა: „შევცოდე უფალსა!", მაგრამ არაფერში არ არგო, რადგან არც უფიქრია უარი

Therefore, getting ready to wrestle against enemies of our souls we should have with us five things as a certain spiritual supply which is necessary when we are in calamities. These are: confession, prayer, fasting, mercy and love.

Confessing, we are purified of our sins, when we with shattering hearts confess our sins to our confessor as if to God himself, confess our sins and blame and expose our own selves and do not put blame on anyone else. But if we excuse ourselves as if we were forced to commit it, or were unable to resist temptation, such a confession does not do any good to us as it did not do any good to Adam when God tried to make him repent. Instead of comprehending his fault and admitting his sin, he desired to put blame on God because it was the woman given him by God that made him eat the forbidden fruit, and Eve on her part blamed the snake! Thus, our confession is to be full of righteous hope, and then God will really forgive us; but not full of despair as in the case of Cain when he said; "My fault is greater than my punishment". The same is the case with Jude who though he confessed his wrongdoing in front of high priesthood, namely, that he sold Innocent blood, but the confession did him no good since he was in despair.

It should be said as well that when we confess, we should be determined not to sin any more. So, for

săgeţile vicleanului céle arzătoare şl sabiia duhului, care iaste graiul lui Dumnezeu; pentru că nu iaste lupta noastră spre sânge şi trup, ci cătră domnii, cătră puteri, cătră ţiitorii lumii întunéricului veacului acestuia, spre vicleşugul duhurilor celor de supt ceriu.

Vrând, drept acéia, a face această călătorie asupra vrăjmaşului sufletelor noastre, precum am şi mai zis, trebuie să luom împreună cu noi 5 lucruri, să ne fie ca o merinde la vréme de primejdie, care lucruri sunt aceştia: Ispovedania, rugăciunea, postul, milostenia şi dragostea.

Cu ispovedaniia să ne spălăm păcatele, mărturisindu-ne înaintea duhovnicilor noştri, cu frică şi cu inimă înfrântă, ca înaintea lui Dumnezeu pârându-ne înşlne pre noi, iar nu să dăm pricina la alţii sau să zicem că de nevoe am făcut, sau prin neputinţă, că nu ne vom folosi nimic, precum nu s- au folosit nici Adam; că vrând Dumnezeu să-l aducă la pocăinţă, în loc de a-şi cunoaşte greşala şi a-şi mărturisi păcatul, el făcea pre Dumnezeu vinovat, căci i-au dat muiare şi muiarea iară să cura pre şarpe. Şi să fie ispovedaniia noastră cu nădéjde bună cum că ne va erta Dumnezeu, iar nu cu deznădăjduire, precum au făcut-o Cain zicând că: „Mai mare iaste vina mea decât a mi să erta mie". Aşijderea şi Iuda, măcar că s-au mărturisit înaintea arhiereilor cum că au greşlt de au vândut sânge nevinovat, iară nu l-au folosit

ეთქვა ბოროტებაზე და ამიტომაც დაიღუპა. არც სასოწარკვეთით უნდა იყოს ჩვენი აღსარება, როგორც იუდასი, როგორც უკვე აღვნიშნე. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ აღიარა თავისი შეცდომა მღვდელმთავრების წინაშე, რომ გაყიდა უდანაშაულო სისხლი, არაფერში ერგო ეს აღსარება, რადგან სასოწარკვეთილი იყო. ჩვენ ვიქონიოთ კეთილი იმედი, რომ თუ სუფთა გულით ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს და იმ შინაგანი გადაწყვეტილებით, რომ აღარ შევცოდავთ, ღმერთი შეგვინდობს და დავით წინასწარმეტყველივით გავიგებთ: „უფალმა აიღო შენი ცოდვა; აღარ მოკვდები".

ლოცვით ვთხოვოთ ღმერთს ჩვენი სულების ცხონება და ის აუცილებლად გვიბოძებს მას, რადგან თავად იესო ქრისტემ ბრძანა: „ითხოვეთ და მოგეცემათო!" გვახსოვდეს, გულის სიღრმიდან ნათქვამი მხურვალე ლოცვა ცას ხსნის და შედის ღვთის სასმენლებში. როგორც ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, იქ, სადაც ლოცვა აღეწლინება მადლიერებით, მოდის სული წმინდის მადლი, ხოლო ეშმაკები განიდევნებიან და ბოროტის მთელი ძალა შორდება ადამიანს. ასევე სხვაგანაც აღნიშნავს, რომ ლოცვით ხდება სიწმინდის დაცვა, ქალწულობის დაბეჭდვა, მრისხანების გაჩერება, ამპარტავნების მოთოკვა, შურის მოსპობა, გაჭირვების მოგვარება და მშვიდობის დაფუძნება; მოკლედ რომ ვთქვათ, ვინც ლოცულობს, ის ესაუბრება ღმერთს.

მარხვით შევიმსუბუქოთ სხეული, გავინათლოთ გონება და გავიხაროთ სულიერად და მივიღოთ მადლი სულისა წმიდისა. ამავდროულად, მარხვა უნდა გავატაროთ ლოცვებით. როგორც საკვები

example, Pharaoh confessed "I have sinned against God!" but it was of no good to him for he never intended to give up evil, and that is why he perished. Our confession must not be determined by despair as it was in Jude's case, as I have already said. Because, despite confessing, in front of the high priests, his error that he had sold innocent blood, this confession was in vain for he was in a state of despair. Let us have a good hope that if we confess our sins pure-heartedly and with internal determination not to sin any more, God will forgive us and like David the Prophet we will hear: "God took thy sin; thou wilt not die".

Let us pray and beseech our Lord to save our souls, and he will assuredly grant it to us for Jesus Christ himself said: "Ask and it shall be given to thee". Remember fervent prayer from the depth of your heart opens Heaven and reaches God's hearing. As Saint John Chrysostom says, there where prayers are uttered with gratitude, the grace of the Holy Spirit is granted and the devils are driven away and the whole power of the devil departs from man. He also says that praying protects chastity, seals virginity, tames wrath, reins in arrogance, defeats envy, arranges difficulties and establishes peace; in short, he who prays, talks to God.

Let us make our bodies lighter by fasting, illuminate our minds and rejoice spiritually and accept the grace

nimic acea ispovedanie, căci era cu deznădăjduire.

Şi ispovedania trebuie să o facem cu gând ca acela ca să nu mai greşim înainte; că faraon măcar că s-au mărturisit, zicând: „Greşit-am Domnului", iar n-au folosit nimic, căci nu gândiia a să părăsi de răutăţi şi pentru acéia au şi perit. Nici să fie ispovedania noastră cu deznădăjduire, ca a ludei, că şi el, măcar că s-au mărturisit înaintea arhiereilor cum că au greşit de au vândut sânge nevinovat, iar nu i-au folosit nimic acea ispovedanie, că au fost cu deznădăjduire, ci să avem nădéjde bună că de ne vom ispovedui cu inimă curată şi cu gând ca acela ca să nu mai greşim ne va erta Dumnezeu şi vom auzi ca David: „Şi Domnul au mutat păcatul tău; nu vei muri".

Cu rugăciunea să cérem de la Dumnezeu mântuire sufletelor noastre că ni-o va da, după cum singur Hristos zice: „Céreţ că să va da voao". Că rugăciunea ce să face cu căldură, den inimă, pătrunde ceriurile şi întră în urechile lui Dumnezeu. Zice şi sfântul Ioann Zlatoust, cum că unde să face rugăciunea cu mulţemită, vine darul Duhului Sfânt şi dracii să gonesc şi toată putérla potrivnicului să depărtează şi fuge. Şi iarăşi într-alt loc zice cum că rugăciunea iaste pază curăţeniei, pecéte fecioriei, oprélişte mâniei, ţinére mândriei, curăţenie zavistiei, plerzare urgiei şi temeiu păcii; şi în scurte cuvinte, cela ce face rugăciune, vor-

უგემურია მარილის გარეშე, ასევე მარხვაც ლოცვის გარეშე.

წმინდა გრიგოლი თავის მეორე წიგნში მარხვის დაწყებაზე წერს, რომ მარხვა არის სულისა და ხორცის სიმშვიდე, ცხოვრება არეულობის გარეშე, კეთილი დაგეგმარებით, რომელიც ახარებს ღმერთს და ამწუხრებს ეშმაკს; რადგან, როგორც მმარხველების მფარველები არიან წმინდა ანგელოზები და იცავენ მათ ყოველი განსაცდელისგან, ასევე არამმარხველების მცველები არიან ეშმაკები, რომლებიც შთაგონებენ ბევრ ცოდვას.

ამიტომ უნდა ვიღვაწოთ, რომ არ ვიყოთ ეშმაკის თანაზიარნი, რადგან არ გამხდარა არავინ სათნოების მოწაფე, ვინც მათი გემოვნების მიხედვით ჭამდა, სვამდა და განცხრომაში იყო. არც მათგან, ვისაც უყვარდა დროს ტარება, ვინც ცხოვრება გაატარა ხორციელად, არავინ გამხდარა წმინდანი და ცათა სასუფევლის მოზიარე. ვიცი, რომ ჩვენი ბოროტი ცხოვრების წესი ხელს შეგვიშლის, რომ სრულფასოვნად ვიმარხულოთ საკვებით, მაგრამ რაც მთავარია, ვიმარხულოთ ბოროტი საქციელებისაგან, რადგან საკვებისაკენ გვიზიდავს ეს წყეული ხორცი, მაგრამ ბოროტი საქციელის ჩასადენად არ გვიბიძგებს არავინ (არც ვიცი, როგორ ვთქვა სხვაგვარად, უფრო გასაგებად)! სხეულს სჭირდება საკვები, მაგრამ სულს არ სჭირდება ბოროტება. საჭმლისგან ვღებულობთ გარკვეულ სიამოვნებას, მაგრამ ბოროტებისგან არ ვღებულობთ არაფერს, გარდა სულისათვის ზიანისა და სჯულის დარღვევისა.

ჩვენი პატიოსანი შემოსავლებიდან სიყვარულით გავცეთ ხოლმე მოწყალება გაჭირვებულებს, ღარიბებს, მგზავრებს, ავადმყოფებს

of the Holy Spirit. At the same time, we should pray during Lent. As food is tasteless without salt, so is Lent without prayer.

Saint Gregory in his second book on the beginning of Lent writes that Lent is peace of soul and flesh, life without turmoil, kindly planned, which makes God happy and the devil devastated; for as holy angels protect those who keep fast and save them from any peril, likewise devils guard those who do not fast and inspire them to sin more.

Therefore, we should arrange that we are not the devil's accomplices, for no one who ate, drank and enjoyed himself according to their mode succeeded in becoming a disciple of virtue. No one among those who liked to have a good time, who lived a life of the flesh became a saint and worthy of the Kingdom of Heaven. I know that our vicious style of life will hinder us from proper fasting in the aspect of food. But what is most important, we should keep fast in relation to evil behaviour because this damned flesh draws us to food, but no one forces us to commit evil acts (I do not know how to say it otherwise, more clearly)! The body needs food, but the soul does not need evil. We do receive certain pleasure from food but from evil we receive nothing but a damaged soul and violation of the law.

From our honestly earned money we should practice almsgiving with love and help those who are

béşte cu Dumnezeu.

Cu postul să ne uşurăm trupul, să ne limpezim mintea şi să ne bucurăm cu sufletul, ca să vie darul lui Dumnezeu asupra noastră, care post trebuie să-l facem cu rugăciuni amestecat. Că precum nu sânt dulci bucatele făr' de sare, aşa nici postul făr' de rugăciuni.

La a doaoa carte, la începerea postului zice sfântul Grigorie cum că postul iaste pace de obşte a sufletului şi a trupului, traiu făr' de turburare, petrecanie cu bună întocmire, viaţă ce veseléşte pre Dumnezeu şi întristează pre vrăjmaşul; că precum sânt păzitori celor ce postesc sfinţii îngerii şi-i feresc de toate primejdiile, aşa sunt şi celor ce nu postesc păzitori dracii şi-i îndeamnă la multe păcate.

Drept acéia, trebuie să ne ostenim ca să nu avem părtăşie cu diavolul, că nu s-au făcut nimeni ucenic bunătăţilor din cei ce s-au îndestulat în mâncări, după pohta lor, nici din cei ce iubiia răsfăţările s-au făcut sfânt, nici din cei ce-au vieţuit trupéşte s-au făcut părtaş împărăţiei ceriului.

Ştiu bine că nu ne va lăsa obiciaiul şi năravul cel rău ca să ne postim de bucate; ce încailea să ne postim de răutăţi, că spre mâncare (n-am cum mai zice într-alt chip) ne îndeamnă blestematul acesta de pântece, dară a face rău n-avem îndemnător pre nimeni. Că trupului îi trebulaşte mâncare, lar sufletului nu-i trebulaşte răutăţi; şi din mâncare cunoşti

და საპატიმროებში მყოფთ და ამით მოვიგოთ ღვთის გული. ასეთნაირად ჩვენც შეგვიწყალებს ღმერთი, როგორცაა ეს ნათქვამი ცხრა ნეტარებაში, ხოლო თუ მოპარულისგან გავცემთ, ასეთ შემთხვევაში უარეს სასჯელს მივიღებთ. ახლა თუ ვინმე ფიქრობს, რომ არ ვარ მართალი იმაში, რასაც ვამბობ და დაიმოწმებს იოანე მახარობლის სიტყვებს, რომელიც ამბობს: „უსამართლობის მამონასგან გაეცით მოწყალება", ასეთი კაცი უნდა წავიდეს და შეისწავლოს წმიდა წერილი იმათგან, ვინც კარგად და სწორად იცის მისი განმარტება და ნახოს, რა შინაარსით თქვა იოანე მოციქულმა ეს სიტყვები და შემდეგ იფიქროს ბოროტი ჩემზე.

იოანე მოციქულის აზრი მდგომარეობს შემდეგში: „უსამართლობის მამონასგან გაეცით მოწყალებაო". რანაირად? ცრემლებით და შემუსვრილი გულით და იმაზე ფიქრით, რომ აღარ მოექცევი უსამართლოდ არავის, აღარ მოიპარავ და აღარც იყაჩაღებ, მხოლოდ ამის შემდეგ ის მოწყალება იქნება შეწირული ღვთის მიერ. ამაში ვრწმუნდებით მეზვერე ზაქეს ქმედებიდანაც, რომელმაც სთქვა: „აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაი მივცე გლახაკთა; და უკეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი". გაიგეთ რა თქვა ზაქემ, რომელსაც მაცხოვარმა იესო ქრისტემ უპასუხა: „დღეს იქნა ცხოვრებაი სახლისაი ამისა, რამეთუ ესეცა შვილი აბრაამისი არს", ანუ ეს მოწყალება ზაქემ გაიღო აბრაამის გულითა და გონებით და არა ისე, როგორც ზოგიერთი ჩვენგანი, რომელიც ქურდობს, დედამიწაზე არსებულ ყველანაირ ბოროტებას სჩადის, ხოლო შემდეგ მიდის რომელიმე მღვდელთან და სთხოვს

In trouble, are poor, are travellers, are diseased or in prison, and thus please God's heart. Thus God will have mercy upon us too, as it is said in nine benefits, but if we give alms from stolen money, we will be punished more severely. If now anyone thinks that I am not right and refers to John the Apostle's words: "Give alms from Mammon of injustice", such man should go and study the Holy Writ from those who know its interpretation well and correctly and see what content John the Apostle placed in them and after this he can think me evil.

John the Apostle's idea consists in the following: "Give alms from mammon of injustice" How? By means of tears and a broken heart and thinking that you will not treat any one unfairly, will never steal or plunder, and only afterwards your alms-giving will be accepted by God. The behaviour of the publican Zacchaeus convinces us of this, since he said: "behold, Lord, the half of my goods I give to the poor, and if I have taken anything from any man by false accusation I restore him fourfold" [Luke, 19:8]. Now you understand what Zacchaeus said and our Saviour Jesus Christ answered him: "This day is salvation come to this house, for so much as he also is a son of Abraham" [Luke, 19:9], that is these alms were given by Zacchaeus with the heart and mind of Abraham, and not as some of us who steal, commit every kind of evil

(la focul) oarecare dulceață, iar din răutate nu să cunoști alt nimic, fără numai vătămare de suflet și călcare de lége.

Cu milostenia să îmblânzim pre Dumnezeu, dând cu dragoste milă, din agonisitele noastre céle drépte, lipsiților, săracilor, streinilor, bolnavilor și celor ce sunt întru închisori. Și atunce vom fi și noi miluiți de Dumnezeu, după cum zice la céle zéce fericiri; iar de vom da milă din jafurile ce facem, mai multă osândă vom câștiga și de să va luneca cineva cu firea și va zice în mintea lui că nu știu ce grăesc, lăsându-se în nădéjdia cuvântului lui Ioann ce zice: „Faceți și voi milostenie din mamonul nedreptății", trebuiaște acela ce va gândi acel lucru să meargă întâi să întrébe pre cei ce știu și tâlcuesc Sfânta Scriptură, făr' de vicleșug, să vază cu ce gând l-au zis Ioann acel cuvânt, apoi să gândească rău asupra mea.

Gândul lui Ioann iaste acesta: faceți, zice, și voi milostenie din mamonul nedreptății. În ce chip? Cu lacrămi, cu inimă înfrântă și cu gând ca acela ca să nu mai faci după acéia strâmbătate nimănui, nici să jăfuiți și apoi, atunce va fi acea milostenie primită; care lucru să poate încredința și de pe Zacheu, că au zis: „Iată, jumătate de avuțiia mea o dau săracilor și de am năpăstuit pre cineva cu ceva îi întorc împătrat". Auzit-ați ce zice Zacheu, cărula au zis Hristos: „Astăzi să făcu mântui-

წირვებში მოხსენიებას ცოდვების მისატევებლად, მაგრამ თვითონ ისევ ბოროტ ცხოვრებას აგრძელებს. ასე არ გამოვა, ვაი ჩვენს საცოდავ თავს, ასე არ გამოვა, რადგან ღმერთს ხომ ვერ მოვატყუებთ!

საყვარელნო, მერწმუნეთ, უფლის მცნებისამებრ, თუ გვეყვარება მოყვასნი ჩვენნი, როგორც ჩვენი საკუთარი თავი და სიკეთეს გავუკეთებთ, ამ შემთხვევაში, დავით წინასწარმეტყველის სიტყვებიდან გამომდინარე, ჩვენც გავხდებით მაღალი ღმრთის შვილები. რადგან სიყვარული ნამდვილად არის ღმერთი და ვინც რჩება ღვთის სიყვარულში, ღმერთიც მასში რჩება, როგორც ამბობს იოანე მოციქული სახარებაში: „და თუ ჩვენ შევუნდობთ შეცდომებს ყველას, ვისაც ჩვენთან აქვს დაშავებული, ღმერთი ჩვენც შეგვინდობს ჩვენს ცოდვებს". რა სარგებელი იქნება, თუ სხეული დაიცლება არასამარხვო საკვებისაგან, ხოლო სული აღივსება ცოდვებით; რა სარგებელი იქნება, თუ სახე გაყვითლებული და დამჭკნარი იქნება მარხვისაგან და ამავდროულად შენი გონება შურითა და საზიზღრობით ანთებული გექნება; რა სარგებელი აქვს, არ სვა ღვინო და ამავდროულად მრისხანების შხამით მთვრალი იყო; რა სარგებელი აქვს არ ჭამო ხორცი და ამ დროს გინებით და შეურაცხყოფებით გლიჯო ჩვენი მოყვასების გულები; რა აზრი აქვს თავშეკავებას ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც ხანდახან ხსნილში დაშვებულია და ამ დროს ისეთი ქმედებების ჩადენა, რომლებიც არასდროსაა დაშვებული. ღმერთს ისინი უყვარს, ვინც ყოველთვის ერიდება აკრძალულს. მაშასადამე, ამ მცირე სიტყვებიდან, რაც გითხარით, თქვენ გაიგეთ ვისთან, რა საშუალებით და იარა-

that exists on Earth, and then goes to a priest and asks to be mentioned in prayers and to be absolved of his sins, but he himself still continuous his evil life. It will not do, woe to us wretched ones, it will not do, since it is impossible to cheat God!

My beloved, trust me, according to God's commandments if we love our neighbours as ourselves and do them good, in this case, following David the Prophet's words, we ourselves will become children of God on high since love really is God, and those who keep to the love of God, God is with them as John the Apostle says in the Gospel: "And if we forgive transgressions to others, who had done us damage, God will forgive us our trespasses". What good can it do if the body voids forbidden food but the soul fills with sins; what good will it bring if the face is yellowed and withered from fasting, and at the same time the mind burns with envy and hatred; what good does it bring if you do not drink wine but are drunk with the venom of wrath; what good does it do if you do not eat meat but break your neighbours' hearts with cursing and insults; what is the point of refraining from acts that are sometimes allowed between fasts and commit things that are never permitted. God loves those who always avoid forbidden things. Therefore, from these few words I have spoken, you learned with whom, with what means and weapons, we have to conduct this

re casei aceştila, pentru că şi acesta fiiu lui Avraam iaste", adecă au făcut cu gând şi cu inimă ca a lui Avraam acea milostenie, iar nu ca unii dintre noi ce fac jafuri şi fac câte sânt mai réle pre pământ, apoi să duce cu gând ca acela ce dă vreunui popă să-i facă sărindariu ca să i să iarte păcatul şi el tot cu totul stă în tina răutăţii. Nu aşa, ticăloşii de noi, nu aşa, că Dumnezeu nu să înşeală!

Cu dragoste să ne încredinţăm că de vom iubi pre vecinii noştri după porunca lui Dumnezeu, ca înşine pre noi şi le vom face bine vom fi şi noi dumnezei şi fii Celui de sus, după cum zice David. Că dragostea iaste singur Dumnezeu şi cela ce rămâne în dragoste, în Dumnezeu rămâne şi Dumnezeu într-însul, după cum zice Ioann: „Şi de vom erta greşalele tuturor ce ni-au greşit noao, ne va erta şi Dumnezeu greşalele noastre". Că ce folos iaste trupul să fie deşărt de bucate, iar sufletul a-l umplea de păcate; ce folos iaste a fi galben şi ofilit de post, iar de pizmă şi urâciune a fi aprins; ce folos iaste a nu bea vin şi a fi beat de veninul mâniei; ce folos iaste a nu mânca carne şi cu hulele a rumpe carnea fraţilor noştrl; ce folos iaste a nu conteni de céle ce sânt, uneori slobode şi a face acélia ce nu sânt niciodată, cu vreun mijloc, slobode. Că Dumnezeu pre aceia iubéşte şi-i cinstéşte pre carii să feresc de céle oprite. Că acéste puţine cuvinte, ce-am vorbit aţi înţeles lupta noastră cu clne iaste şi

ღით მოგვიწევს ბრძოლა და როგორ უნდა გავიმარჯვოთ.

ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა, შეძლებისდაგვარად, სიზარმაცის გარეშე და დიდი მოშურნეობით უნდა შეუდგეს მარხვას. გავიგე, რომ აქ თქვენთან არსებობს ჩვეულება: დიდი მარხვის დაწყების წინა საღამოს იკრიბებით სასახლეში და თითოეული თქვენგანი მოკლე სიტყვით მიმართავს ქვეყნის მთავარს, რის შემდეგაც ითხოვთ ხოლმე შენდობას. აქამდე არ მქონია შემთხვევა, ჩემი თვალით მეყურებინა ამ შეკრებებისთვის, მაგრამ, როდესაც მიამბეს, ძალიან გამიხარდა და მომეწონა ეს ჩვეულება, რადგან ძალზედ პატიოსანი და ღირსეული საქმეა შენდობის თხოვნა ჩვენი მთავარ-ბატონებისაგან, ხოლო ამას უნდა ვაკეთებდეთ არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იწყება დიდი მარხვა, არამედ სხვა დროსაც. როგორც ღვთის წინაშე ყოველთვის ვცოდავთ ხოლმე, ასევე ვცოდავთ ჩვენი მთავარ-ბატონების წინაშეც: იქნება ეს სიტყვით, საქმით, ნებსით, თუ უნებლიეთ, მეცნიერებით თუ უმეცრებით, ცხადად, თუ ფარულად.

თუმცა, როდესაც ყურადღებით ვფიქრობ ამ ჩვეულების თაობაზე, მე პირადად მიპყრობს დიდი მწუხარება. ეს ჩვეულება კი არის თავისთავად მშვენიერი პირველი შეხედვით, მაგრამ თუდავუკვირდებით, ძალზედ ცუდია, რადგან შენდობებს ერთი მეორისგან ითხოვთ და გასცემთ არა გულწრფელობითა და სუფთა გულით, არამედ სავსე შურით, ბოღმით, ბოროტებით და ბილწი გონებით.

ჩემო საყვარელნო კრავნო, გთხოვთ, გაფიცებთ მაცხოვარ იესო ქრისტეს სისხლს, რომელიც დაინთხა ჩვენთვის, ცოდვილ-

battle and how we should win it.

Therefore, each of us, as far as possible, should start fasting without indolence and with great energy. I have learnt that here, in your country, there is a tradition: on the eve of Lent, in the evening, you gather in the palace and each of you addresses the ruler of the country with a short speech and then asks for mercy. I have not had an occasion to be there personally, but when I was told about it, I was very glad and liked this tradition because it is a very honest and worthy thing to ask for forgiveness from our princes and masters, but we should do it not only now when Lent starts but at other times as well. As we always sin against God, we likewise sin against our princes and masters be it by word or deed, on purpose or involuntarily, deliberately or from ignorance, openly or in secret.

But when I think carefully about this tradition, a great anguish flows over me. The tradition itself, at the first glance, is of course wonderful, but if we look at it closely, it is very bad because you ask each other for forgiveness and forgive not sincerely and with a pure heart but with a mind full of envy, resentment, evil and filth.

My beloved lambs, I beg you, I implore you in the name of the blood of our Saviour Jesus Christ, which was shed for us sinners, to give up it altogether or you will be punished. And I unworthy and the great sinner

cu ce fel de arme şi de merinde ne trebuiaşte să mérgem asupra lui şi cu ce mijloc să-l biruim.

Drept acéia, fieştecarele, după putinţă, să nu lenevească a să nevoi, că nu va greşi. Am înţeles cum că iaste obicial de vă adunaţi de seară în divan şi faceţi puţină oraţie înaintea domnului şi după acéia céreţi ertăciune; şi măcar că nu mi s-au întâmplat până acum să văz cu ochii, iar foarte mi-au plăcut şi am fericit obiciaiul acesta, că iaste lucru cuvios a cére ertăciune de la stăpânii şi mai-marii noştri, nu numai într-această zi, căci vom să întrăm în zilele sfântului post, ci poci zice că să cuvine să cérem ertăciune în toate zilele; că precum greşim înaintea lui Dumnezeu în tot ceasul, aşa greşim de pururea şi înaintea mai-marilor noştri, cu cuvântul şi cu fapta, cu voe şi făr' de voe, prin ştiinţă şi neştiinţă, de faţă şi pre ascuns.

Iar apoi, luând seama cu tot denadinsul sfârşitul acestui lucru, foarte mă întristez, că obiceaiul iaste frumos la vedére şi rău la pricépere; că nici ertăciunea ce céreţi de la stăpâni nu iaste curată, nici acéia ce luaţ unul de la altul, că iaste plină de pizmă şi de zavistie şi plină de răutate, că nu iaste cu gând curat.

Ci, vă rog, iubiţii miei, pentru preascump sângele lui Hristos, care ş-au vărsat pentru noi, păcătoşii, să vă părăsiţi de acéia, că veţi cădea în osândă, dintru carea osândă eu, nevrédnicul şi mult păcătosul rog pre

თათვის, შეეშვით ამ ყველაფერს, თუ არა, დაისჯებით. ხოლო მე ულირსი და დიდად ცოდვილი ვეევედრები მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთს, გვაცხოვნოს და გვიხსნას სასჯელისაგან და რომ ეს დიდი მარხვა გავატაროთ მშვიდობით, ჯანმრთელობით, სიწმინდით და ცხონების გზაზე სიარულით, რომ ბოლოს აღდგომის ნათელის ხილვის ღირსები გაგვხადოს ღმერთმა. ამინ!

that I am beseech the merciful and humane God to save and free us from punishment and let us spend this Lent peacefully, in good health and holiness, and moving along the road to salvation so that in the end God makes us worthy to behold the light of Easter. Amen!

milostivul şi iubitorul de oameni, Dumnezeu, ca să ne mântuiască pre toţi şi să ne învrednicească să petrécem sfântul post în pace, cu sănătate, cu viaţă curată şi cu spăsenie sufletească, ca să putem vedea şi luminata Lui înviiare. Amin.

## ქადაგება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებაზე ნოემბრის თვის 21

როგორც მდიდარი ვერ შესძლებს ღარიბისაგან ვერანაირი მატერიალური დახმარების მიღებას, ასევე ვერც ქების ღირსი პატიოსანი ადამიანი მიიღებს უმეცრისაგან შესაფერის ხოტბასა! ასევე მეც, ვიცი რა ჩემი სათნოებათა სიღარიბე და განათლების სიმწირე, ვდგავარ, ვფიქრობ და ჩემი თავისა მიკვირს – რა უნდა ვქნა?! რადგან, ერთის მხრივ, ვუყურებ ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის დიდებულ ტაძრად მიყვანას, რომელსაც აღვნიშნავთ ჩვენ დღეს, მეორეს მხრივ, ჩემ წინ ვხედავ სათნოებისა და სიბრძნის ყვავილებით მორთულ ამდენ პატიოსან სახეს, ამიტომ მიპყრობს შიში და ვერ ვბედავ საუბარს. რა ძალა აქვს ჩემს საძაგელ ენას, რომ ღირსეულად აქოს და ადიდოს დედა მარიამი, რომელიც მთელ ქმნილ სამყაროზე უფრო მეტად აღმატებული, გამორჩეული და მიმადლებულია, როგორცაა ეს ნათქვამი *ქებათა ქებაში?* ან რა ძალა აქვს ჩემს წყაროს, რომელშიც მხოლოდ ერთი წვეთია, რომ მორწყოს ასეთი დიდი სულიერი ბაღი.

მაგრამ მადლი სულისა წმიდისა, უძლურთა მკურნალი და ნაკლულებათა აღმავსებელი, მომცემს მე ძალას და დამეხმარება, რომ შევძლო რამდენიმე სიტყვით გამოვთქვა ღმერთის დიდება და დედა ღვთისმშობლის პატივი და თაყვანისცემა.

წმინდა წერილში, კერძოდ მეფეთა მესამე წიგნის მე-6 თავში ვკითხულობთ, რომ მეფე სოლომონმა ააშენა სამი ნაწილისგან შემდგარი ღვთის სახლი: პირველ ნაწილში

## On the Presentation of the Holy Virgin in the Temple, November 21

As a rich man gets no material help from a poor one, in similar fashion no laudably honest man receives appropriate applause from an ignorant person! So, I, being aware how threadbare are my virtues and how inadequate my education, stand here, think and consider what should I do? Because, on the one hand, I observe the presentation of the Holy Virgin in the Temple which we are celebrating today and, on the other hand, before me I see so many honest faces adorned with blossoms of virtue and wisdom, which is why I am scared and dare not speak. Is my language powerful enough to worthily praise and acclaim the Mother of Mary who is more superior, distinguished and endowed than the whole created world as it is said in the *Song of Solomon*? Or what is the power of my spring which is only one drop to water such a great spiritual garden.

But the grace of the Holy Spirit, healer of the feeble and compensator of deficiencies, will give me strength, and help to manage and voice glory to God and honour and deference to the Mother of God.

In Holy Writ, namely in chapter 6 of Kings book 3, we read that King Solomon built God's house, which consisted of three parts: in the first part there was a multitude of peo-

## Cazanie la Vovedenie Bogorodiţe, noemvrie 21

Puţin ajutoriu va putea lua un bogat de la un sărac şi puţină laudă va auzi un cinstit de la un neînvăţat. Drept acéia dară şi eu, ştiindu-mi sărăciia bunătăţilor şi slăbiciunea învăţăturii, stau de mă mir ce voiu face. Că de o parte uitându-mă măririlor Preasfintei Fecioarei Mariei a căriia intrarea cea cu pohfală în bisérică astăzi prăznuim; de altă parte, văzând atâtea cinstite obraze, împodobite cu florile bunătăţilor şi cu înţelepciune, mă spăimântez şi nu cutez a grăi. Că ce tărie are ticăloasa mea limbă, a lăuda şi a cinsti cu vrednicie pre una ca aceasta, carea iaste aleasă şi întru tot îmbunătăţată mai nainte decât toată zidirea, după cum zice la Cântarea cântărilor? Sau ce putére are izvorul mieu cel cu o picătură de apă, să adape o grădină sufletească ca aceasta?

Iară încăşi, de vréme ce darul Duhului Sfânt, carele pururea tămăduiaşte céle neputincioase şi célia care nu sunt desăvârşit le împlinéşte, acelaş să-mi dea şi mie putére şi ajutoriu, ca să pociu zice puţine cuvinte în slava lui Dumnezeu şi întru cinstea şi lauda Născătoarei de Dumnezeu.

Véde-să în Sfânta Scriptură, la a treia carte a Împăraţilor, la al 6-lea cap, cum că împăratul Solomon au făcut casa Domnului cu trei despărţituri; şi în despărţitura cea dintâiu sta mulţimea norodului, întru a dooa despărţitură sta arhireii şi pre-

იდგა ხალხის სიმრავლე, მეორე ნაწილში იდგნენ მღვდელმთავრები და მღვდლები, ხოლო მესამე ნაწილს ერქვა წმიდათა წმიდა, რომელშიც არავინ არ შედიოდა, გარდა მღვდელმთავრისა, და ისიც წელიწადში ერთხელ. წმიდათა წმიდაში შესვლისას მღვდელმთავარი აკმევდა და ლოცულობდა თავისი თავისა და ერის ცხონებისთვის. ყოველივე ეს აღწერილია წმიდა პავლე მოციქულის ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-9 თავში: „პირველსა მას კარავსა მარადის შევლენ მღდელნი და მსახურებასა მას აღასრულებენ. ხოლო შინაგანსა მას ერთგზის წელიწადსა მღვდელმოძღუარი იგი ხოლო შევიდის და არა თვინიერ სისხლისა, რომელი-იგი შეწირის თავისა თვისისათვის და ერისა უმეცრებისათვის". ტაძრის პირველი ნაწილი, სადაც იდგა მორწმუნე ერი, სიმბოლურად აღნიშნავდა ჩვენს თავებზე არსებულ ხილულ ცას, სადაც ჰაერია და სადაც ფრინველები დაფრინავენ. მეორე ნაწილი, სადაც იდგნენ მღვდელმთავრები და მღვდლები, სიმბოლურად წარმოადგენდა მეორე ცას, რომელიც პირველზე მაღალია და სადაც ბინადრობენ ზეციური ძალები, ანუ ანგელოზები და წმინდანების დასი. ხოლო მესამე ნაწილი – წმიდათა წმიდა, სადაც მხოლოდ მღვდელმთავარი წელიწადში ერთხელ შედიოდა, სიმბოლურად წარმოადგენდა მესამე ცას, რომელიც მეორეზეც მაღალია და რომელშიც არავინ შედის ჭეშმარიტი მღვდელმთავრის - ჩვენი ღმრთის, მაცხოვარ იესო ქრისტეს გარდა.

რომ დარწმუნდეთ, ის ტაძარი ნამდვილად სიმბოლურად წარმოსახავდა ზეცას, მოისმინეთ და ნახეთ, რას ამბობს ნეტარი პავლე

ple, in the second - high priests and priests, and the third part was called the Holy of Holies and no one was allowed to enter it but a high priest and only once a year. When a high priest entered the sanctuary, he burned incense and prayed for the salvation of his own self and his people. It is described in chapter 9 of Saint Paul the Apostle's epistle to the Hebrews: "the priest went always into the first tabernacle, accomplishing the service of God. But in the second went the high priest alone once every year, not without blood, which he offered for himself and for the errors of the people" [Hebrews, 9:6,7]. The first part where religious people gathered, denoted symbolically a visible sky above us, where there is air and birds are flying. The second part symbolically presented the second sky which is higher than the first sky and where the heavenly host, that is the host of angels and saints abide. And the third part, the Holy of Holies in which only a high priest entered once every year, symbolically presented the third sky which is higher than the second and which is not entered by anyone but the true high priest our Lord, Saviour Jesus Christ.

To be convinced that the Temple really symbolically represented heaven, listen and hear what the Blessed Paul says to the Hebrews in chapter 9 of his epistle: "For Christ is not entered into the holy places

oţii, iară întru a treia despărţitură era Sfânta Sfintelor, întru care nu putea să între nimenea, fără numai arhiereul, într-un an o dată, de tămâia locul acela şi să ruga lui Dumnezeu pentru mântuirea lui şi a norodului, precum zice fericitul Pavel, la al 9-lea cap către evrei: „La cortul cel dintâi pururea întra preoţii, de făcea slujbele, iară la cel de al doilea, într-un an o dată, singur arhiereul, nu făr' de sânge carele aducea pentru dânsul şi pentru necunoştinţele norodului". Caré bisérică despărţitura cea dintâi, unde sta norodul să închipuia ceriului carele stă deasupra noastră, unde iaste văzduhul şi sânt acolea toate păsările céle zburătoare; iară a dooa despărţitură, unde sta arhiereii şi preoţii să închipuia cerlului al doilea, carele stă deasupra cerlului dintâi, unde sânt puterile céle cereşti, adecă îngerii şi sufletele dreptţilor; iară a treia despărţitură, unde era Sfânta Sfintelor şi întra într-un an o dată numai arhiereul, să închipuia al treilea cerlu, carele stă deasupra celui de al doilea, întru carele nu întră nimenea, făr' numai adevăratul arhiereu Hristos, Dumnezeul nostru.

Şi de pohtiţi ca să vă încredinţaţl cum că bisérica acéi închipuirea ceriului, ascultaţi de vedeţi ce zice fericitul de Pavel, iară la al 9-lea cap cătră evrel: „Pentru că nu în sfinte făcute de mâni au întra Hristos, pildă celor adevărate, ci într-acestaşi ceriu să se arate acum féţli lul Dumnezeu pentru noi".

იქვე ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-9 თავში: „რამეთუ არა ხელით ქმნულთა სიწმიდეთა შევიდა ქრისტე სახედ ჭეშმარიტთა მათ, არამედ თვით მათ ცათა, აწვე ჩუენებად პირსა ღმრთისასა ჩუენთვის".

და რატომ ერქვა წმიდა წმიდათა? იმიტომ, რომ იქინახებოდა სჯულის ორი ფიცარი, რომლებიც ღმერთმა მოსეს მისცა სინას მთაზე, ასევე აარონის განედლებული და აყვავებული კვერთხი, მანანათი სავსე ტაკუკი, ოქროს სასაკმეველე და სჯულის კიდობანი. მაგრამ მე შემიძლია ვთქვა, რომ წმიდა წმიდათა ერქვა მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იქ წარმავალი საგნები ინახებოდა, რომლებიც განასახიერებდნენ ძალიან ბევრ და არსებით საეკლესიო საიდუმლოს, არამედ იმიტომ, რომ მასში 12 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ჭეშმარიტი წმიდათა წმიდა, ანუ ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, რომელმაც შვა აღთქმული მესია.

როგორც ამტკიცებენ, ტაძრის მესამე ნაწილი განასახიერებდა მესამე ცას, სადაც განათდა ჭეშმარიტი მზე სიმართლისა, ასევე დედა მარიამის საშოც გახდა უმაღლესი ცა, რომელმაც დაიტია წმიდა სამების მეორე პირი – ძე და სიტყვა ღვთისა, მაცხოვარი იესო ქრისტე, ჭეშმარიტი მღვდელმთავარი, რომელმაც მეორედ მისცა სიცოცხლე კაცობრიობას და ევედრებოდა მამა ღმერთს ადამის ცხონებისთვის და მისი უმეცრების შენდობისთვის. რაც შეეხება მიზეზს, რატომ შევიდა წმიდა ქალწული იმ წმიდა ადგილას და ცხოვრობდა იქ იმდენი წლის განმავლობაში, საყოველთაოდ ცნობილია და ჩვენ საჭიროდ ვთვლით, აქ ვთქვათ ამის შესახებ.

made with hands, which are the figures of the true; but into heaven itself, now to appear in the presence of God for us" [Hebrews, 9:24].

And why was it called the Holy of Holies? Because the two tablets of the covenant which God gave to Moses on Mount Sinai as well as Aaron's rod which put forth buds and produced blossoms, a chalice full of manna, a gold incense burner and the Ark of the Covenant were kept there. But I can say that it was called the Holy of Holies not only because there were transient things which symbolized quite a number of essential ecclesiastical mysteries but because in it, for 12 years, lived the true Holy of Holies, that is the Holy Virgin Mary who gave birth to the promised Messiah.

As it is argued, the third part of the Temple represented the third sky where the true Sun of justice shone; analogically Mother Mary's womb also became the third sky which contained the second figure of the Holy Trinity: the son and word of God, our Saviour Jesus Christ, the true high priest who endowed humankind with a second life and begged God the Father to save Adam and forgive his ignorance. As to the reason why the Holy Virgin entered this holy place and lived there for so many years, it is widely known, and we think it necessary to speak about it here.

In the distant past the Jews had a custom: if a woman could not give

Şi pentru ce să numila Sfânta Sfintelor? Nu pentru alta, fără numai căci era într-însa céle doao table ale legii ce au dat Dumnezeu lui Moisi în muntele lui Horiv şi tolagul cel înflorit al lui Aaron şi năstrapa cea cu mannă şi cădélniţa cea de aur şi lada legii. Iară eu pociu zice că să numila mai vârtos Sfânta Sfintelor nu pentru căci era stătătoare într-însa numai céle lucruri trecătoare, carele închipuia multe taini ale bisericii noastre, ce şi pentru căci s-au învrednicit a lăcui într-însa 12 ani Sfânta sfintelor cea adevărată, adecă Sfânta Fecioară, care au născut mai presus de fire pre Sfântul sfinţilor, pre Mesiia cel făgăduit.

Şi cum că să închipuia bisérica acéia cerlului laste lucru dovădit, căci ia laste ceriul cel adevărat carele au răsărit pre Soarele dreptăţii şi în pântecele ei au lăcuit ca întru al treilea ceriu o faţă a Sfintei Troiţe, Fiiul şi Cuvântul lui Dumnezeu, Iisus Hristos, adevăratul arhiereu, de au zidit a doua oară neamul omenesc şi să ruga lui Dumnezeu Tatăl pentru mântuirea lui Adam şi a necunoştinţei lui. Iară pricina pentru căci au întrat Sfânta Fecioară, de au lăcuit atâţea ani la acel loc sfânt, măcar că laste ştiut la toţ iară încăş cu cuviinţă iaste să o spunem şi noi.

În vremile céle de demult era obicei la jidovi şi care om nu făcea coconi era hulit şi urât de toţi măcar de ar fi fost de neam cât de mare şi bogat; şi când ducea darurile lui la

შორეულ წარსულში ჰურიებს ჰქონდათ ჩვეულება, თუ ადამიანს არ უჩნდებოდა შვილები, ასეთი ადამიანი შეძულებული და გარიყული იყო საზოგადოებისაგან როგორი დიდი და მდიდარი გვარისაც არ უნდა ყოფილიყო ის. და როდესაც ასეთ ადამიანს მიჰქონდა ხოლმე ძღვენი ტაძარში, მღვდელი სულ ბოლოს იღებდა მისგან შესაწირს, ღვთისმსახურების დროს იდგა ყველაზე უკან და ყველაზე დაბალ საფეხურზე, საჭმელს არავინ არ იყოფდა მასთან ერთად და საერთოდ ითვლებოდა, რომ ეს ადამიანი დასჯილი და დაწყევლილია ღვთისგან.

მაშასადამე, იოაკიმე და ანა იყვნენ რა ბერწები, ერთხელ ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ დღესასწაულზე შემთხვევით, ყველანაირი ბოროტი ფიქრის გარეშე, როგორც მდიდარი და სამეფო გვარის ადამიანებმა, პირველებმა მიიტანეს ძღვენი ტაძარში. ამის გამო მღვდელმა ისე მკაცრად და უხეშად მისცა მათ შენიშვნა, რომ დიდი შერცხვენით ტაძრიდანაც გააძევა ისინი ისე, რომ ძღვენიც არ გამოართვა. (წარმოვიდგინოთ, რამხელა ტკივილი და მწუხარება შეიპყრობდა ასეთი დიდებული და უმანკო ადამიანების გულს). ხოლო მათ დიდი ღირსებით მიიღეს მღვდლის შენიშვნა და სიფიცხე, დახარეს თავები და მწარე ტირილით, არავისთვის არაფრის თქმით ისე წავიდნენ შინ ხოლო ახლა არ გაბედოს რომელიმე მღვდელმა ან მღვდელმთავარმა უსაყვედუროს ვინმეს იმის გამო, რომ არ ჰყავს შვილები, რადგან მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ადამიანი ცოდვილი, თუ ის უსჯულოებებს და ცოდვებს ჩადის. იოაკიმესა და ანას, იმისდა მიუხედავად, რომ დიდი birth to a child she was hated and ostracized by society no matter how great and wealthy a family she belonged to. And when such a woman took offerings to the Temple she would be the last to give the offerings to the priest. She had to stand far behind the others and on the lowest step during the divine service. No one shared food with her, and in general, it was understood that this person was punished and cursed by God.

Joachim and Anna were childless. It once so happened that during a feast, all by chance and without any evil intention, as representatives of a wealthy and royal family they were the first to bring offerings to the Temple. Because of this, the priest rebuked them severely and rudely, and insulting them harshly, drove them out of the Temple and did not even accept their offerings. (Let us imagine what pain and grief would seize the hearts of such good and innocent people). But they accepted the priest's reproof and vehemence, lowered their eyes and crying bitterly without saying even a word, went home.

And do not now any priest or high priest dare and reproach anyone for having no children, because man is a sinner only if he sins, and commits things opposed to the law. Joachim and Anna, though they felt great pain and profound grief for being barren, and faced the hatred of the people, always prayed to God

biserică le prilmila preotul pre urma tuturor şi sta la biserică mai jos decât toţi şi bucate nimeni nu mânca cu el, ci-l ţinea toţi ca pre un urgisit de Dumnezeu.

Deci, Ioachim şi Anna, fiind sterpi, s-au întâmplat, într-o sărbătoare mare ce avea jidovii, prin neştiinţă şi făr' de nici un vicleşug, ca nişte oameni bogaţi şi de neam împărătesc ce era, au dus darurile lor mai nainte decât alţii la biserică. Şi, văzându-l preotul, atâta i-au înfruntat şi i-au dojenit, cât l-au scos din biserică cu mare ruşine şi cu multă urgie i-au gonit, împreună cu darurile ce adusése (Oare, ce jale şi ce scârbă socotiţi că vor fi luat în inima lor nişte oameni mari ca acéia?). Iară ei, blagosloviţii, au priimit înfruntarea şi urgia preotului cu multă cucerie şi, plecându-şi capetele, să ducea plângând cu amar la casa lor, nezicând nimic, nimănui.

Iară acum să nu carea cumva să îndrăznească preotul, sau arhiereul, să înfruntéze pre cineva, nu pentru căci nu are coconi, ci pentru căci face fărdelegi şi strâmbătăţi, că apoi iaste vinovat morţii. Iară măcar că avea Ioachim şi Anna multă jale în inima lor, pentru urâciunea şi hula ce avea de cătră toţi pentru stârpiciunea lor, iară de pururea să ruga, cu lacrămi, dintru adâncul inimii lor, Stăpânului firii, ca să facă milă cu ei, să le dezlége sterpiciunea şi să le dăruiască roadă pântecelui lor; nu doară pentru ca să le rămâie după

ტკივილი და მწუხარება ჰქონდათ სიბერწისა და ხალხის სიძულვილის გამო, ისინი მუდმივად ცრემლებით და გულის სიღრმიდან ლოცულობდნენ, რომ ღმერთს ებოძა მათთვის წყალობა, მოეხსნა მათი სიბერწე და ეჩუქებინა მათთვის მუცლის ნაყოფი. უნდა ვიცოდეთ, ამას ლოცულობდნენ იმის გამო კი არა, რომ გარდაცვალების შემდეგ შვილებს ელოცათ მათთვის, ან მემკვიდრეობაში მიეღოთ მშობლების მთელი მონაგარი, მამულები და ქონება, როგორც ჩვენს დროში ფიქრობს ხოლმე ხალხი. იოაკიმე და ანა ნატრულობდნენ შვილს აღთქმის გამო, რომ თუ ეყოლებოდათ გინდ ვაჟი, გინდ ქალი, მას აუცილებლად შესწირავდნენ ღმერთს.

ხედავთ ახლა ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულს და სურვილს, ხედავთ გულის სითბოს, ხედავთ მოშურნეობას? ვინ არის ახლა ჩვენს დროში გინდ მდიდარი, გინდ ღარიბი, რომელსაც რომც ჰყავდეს 100 შვილი, ერთი მაინც შესწიროს ღმერთს? [შვილის მონასტერში გაშვებას] ხალხი ულირს და უაზრო საქმედ თვლის და ამის თაობაზე ბევრ ცუდს ლაპარაკობენ, რისი გამეორება მრცხვენია კიდევაც!

ხოლო ღმერთი, როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „ღვთის მოშიშთა ნებას აღასრულებს ღმერთი და მათ ლოცვას შეისმენს". როდესაც დადგა ღვთის განგებისა და აღთქმის აღსრულების ჟამი, როდესაც უფალს ჭურჭელნიც უკვე გამორჩეული ჰყავდა, სათნო ინება ღმერთმა და გახსნა ანას სიბერწე და მან შვა აღთქმის შვილი ისევე, როგორც სარამ ისააკი, რებეკამ იაკობი, რაქილმა იოსები, მანოეს ცოლმა სამსონი, ელკანას ცოლმა ანამ სამოელი და ელისაბედმა იოანე

with eyes full of tears and from the depth of their hearts pleading Him to take mercy upon them, to relieve them of the burden of sterility and grant them a child. We should know that they prayed not because they thought that after their death their children would pray for them or inherit their property, their lands and capital, as people used to think in our times. Joachim and Anna desired a child because of the promise they made that if they had a child, no matter whether it was a girl or a boy, they would dedicate the child to God.

Now, do you see true Christian love and desire, do you see the warmth of heart, do you see zeal? Who is nowadays such a person either rich or poor, who even if he had 100 children would dedicate even one to God? People think it [sending children to monastery] an unworthy and absurd idea and say lot of bad things about it, I am ashamed to repeat what they say!

But as David the Prophet says: "God fulfils the will of the righteous and hears their prayers". When the time of divine providence and fulfilling the promise came, when God had already chosen vessels, he deigned goodness and relieved Anna of barrenness and she gave birth to the promised child just like Sarah gave birth to Isaac, Rebecca to Jacob, Rachel to Joseph, the wife of Manoach to Samson, the wife of Elkanah, Hanna to Samuel, and Elizmoartea lor feciori să-l pomenească, după cum pohtesc oamenii aceşti de acuma, sau să le moştenească moşiile ce numai cu făgăduială ca aceia ca, de vor naşte vreun prunc, au parte bărbătească, au parte femeiască, să-l închine lui Dumnezeu.

Vedeţi dară, acum, pohtă şi dragoste creştinească, vedeţi căl dura de inimă, vedeţi râvnă. Cine să află acu, pre acéste vremi, au din cei bogaţi, au din cei săraci, măcar de ar avea 100 de feciori, să închine unul lui Dumnezeu? O ţin lucru necuvios şi lucru de nimica, zicând multe cuvinte deşarte, carele mă ruşinez a le grăi.

Însă, Dumnezeu, după cum zice David: „Voia celora ce să tem de Dânsul va face şi rugăciunea lor va asculta". Împlinindu-se sorocul sfatului lui Dumnezeu, cel mai nainte de toţi vécii şi sosind vremea şi ceasul acela, aflându-se şi vase alése ca acélia, binevoi Dumnezeu dă dăzlegă sterpiciunea Annei şi născu prin făgăduinţă, după cum au născut Sarra pre Isaac, Revecca pre Iacov, Rahil pre Iosif, fămeia lui Manoe pre Sampson, Anna, fămeia lui Elcana pre Samuil şi Elisaveth pre Ioann Botezătoriul. Aşa şi fericita Anna, fămeia lui Ioachim, născu scaun sfânt lui Dumnezeu, pre Fecioara Mariia, ca să se odihnească pre dânsa Cela ce să odihnéşte pre scaunele céle îngereşti şi-şi găti Luiş cerlu însufleţit Cela ce au întărit ceriurile cu înţelepciunea Sa şi pământul l-au

ნათლისმცემელი. ასევე იოაკიმეს ცოლმა ანამაც შვა ღვთის წმიდა ტახტი – ქალწული მარიამი, რათა განისვენოს მასზე მან, ვინც განისვენებს ანგელოზებრივ ტახტზე. მაღალმა ღმერთმა, რომელმაც სიბრძნით გაამყარა ცანი და ქვეყანა დააფუძნა წყალზე, რომლის წინაშეც ძრწიან უფსკრულნი და ჯოჯოხეთის სიღრმენი, მან ყოვლადწმიდა მარიამის სახით გაიმზადა ცოცხალი ზეცა.

